№ 26
პარასკევი, 4 თებერვალი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 26
პარასკევი, 4 თებერვალი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1 თებერვალს გარდაიცვალა ტფილისის ნოტარიუსი

**ალექსანდრე ეგნატეს ძე ჭოლოყაშვილი.**

მიცვალებულს გაასვენებენ თავისს სადგურიდგან, განოვის ქუჩა, სახლი № 4, ამაღლების ეკლესიაში დღეს, 4-ს თებერვალს, დილის 10 საათზედ; საიდგანაც წირვის შემდეგ წაასვენებენ სოფელ ოქროყანას დასაკრძალავად. (1—33—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 6 თებერვალს 1900 წ.

**ბენეფისი ბ-ნ შათირიშვილისა**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**ოტელლო**

ტრაგედ. 5 მოქ. შექსპირისა, თარგმ. ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. კარგარეთელი, ნებიერიძე; ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, ჭელიძე, იმერიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

ვისაც სურს კარგის ჯიშის

**აბრეშუმის ჭიის თესლი**

თეთრი და ყვითელი, ალთიზისა, ფერრანისა და ალთიზისა და ბერტეს ფირმებისა, ტფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ განხილული, შეუძლიან სასყიდლად მიჰმართოს დ. ხონში ბ-ნ ივანე სიმონის ძე შარაშიძეს.

ი. ალთიზი (5—250—5)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების **ა. ს.რ.ი ნაშვილის** მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (1—უ.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—საფილისოსა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ვ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი

**კ. ი. გძელიშვილი**

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.** (100—31—90)

## ახალი ამბავი

*** დღეს, 4 თებერვალს, ტფილისის დეპუტატთა საკრებულოში მოხდება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა მოისმინოს და განიხილოს 31 იანვარს საგანგებო კრებაზედ არჩეულ კომისიისაგან შედგენილი ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარსადგენად შუამდგომლობის ქაღალდი, საერობო გარდასახადის დროზედ შეუტანლობისა გამო თავად-აზნაურობაზედ შეწერილ ჯარიმის პატიებისა და მამულების დაფასებისა და შემოსავლის რაოდენობის აღრიცხვის საქმის გაუმჯობესების შესახებ.

*** გუშინ, 3 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოაცხადა თვისი გარდაწყვეტილება კერძო ვექილის პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა და თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის დავის შესახებ. ოლქის სასამართლომ განსვენებულ თავ. ი. კ. მუხრან-ბატონის ვალდებულების ქაღალდი, რომელზედაც დაფუძნებული იყო დავა, ყალბად იცნო და პლიუშჩევსკის მემკვიდრეებს უარი უთხრა.

*** საქალაქო დებულების მე-104 მუხლის ძალით ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიენდოს გამგეობის წევრს ბ-ნ ე. ე. ხოსროევს ქალაქის სატყეო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის აღსრულება.

*** სავაჭრო დეპუტატებმა მოხსენება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში იმის შესახებ, რომ გამგეობამ გადასდოს ფული დეპუტატთა სხვა და სხვა საჭიროებისათვის.

*** სახელმწიფო სამრეწველო გარდასახადის წესდებისამებრ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა მოწვეულ იქმნას სავაჭრო დეპუტაციის წევრები თვისს შორის თავმჯდომარის ამოსარჩევად.

*** გუშინ, 3 თებერვალს, ქალაქის გამგეობაში საჯარო ვაჭრობა იყო მახათის გორის საგაჯე ადგილების იჯარით გასაცემად. იჯარა დარჩა ი. ხანანოვს 310 მანეთად. წინად ამ იჯარიდან ქალაქს 200 მანეთი შემოსდიოდა.

*** ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენში წარსულ წელს ყოფილა სულ 47 ყმაწვილი, აქედგან 27 ქალაქის მცხოვრებელი და 20 სოფლისა. მართლ-მადიდებელი ყოფილა სულ 32, კათოლიკე—1, მაჰმადიანი—3, ებრაელი—2 და სხვა-და-სხვა სარწმუნოებისა 9 ყმაწვილი; აზნაური—2, მოქალაქე—20, გლეხი—22; ქართველი—19, რუსი—15, სომეხი—8, ებრაელი—2, ლეკი—1, ოსმალო—1, სპარსელი—1. ახალშენის შესანახად კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ საზოგადოების გამგეობას გადადებული ჰქონია 1899 წ. 21840 მან.

*** ავჭალაში ორის ახალის წყლის ტურბინის დადგმას მომავალ კვირის დამლევს დაამთავრებენ. ამ ტურბინების შემწეობით შესაძლებელი იქნება ქალაქს დღე-ღამეში 480 ათასი ვედრო წყალი მეტი მოაწოდონ, ვიდრე აქამდის აწოდებდნენ.

*** გუშინ წინ, 2 თებერვალს, გორში წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1 განყოფილების სესია. გორში სესია 14 თებერვლამდის დარჩება, გახილულ იქმნება სულ 51 სისხლის სამართლის საქმე.

*** საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებამ „Сборникъ притчъ Вардана“-ს ავტორს ბ-ნს მარრს, ჯილდოდ მიუსაჯა ოქროს დიდი მედალი.

*** საერო განათლების მინისტრმა განმარტა, რომ აწ მოქმედის წეს-რიგით შეიძლება სახალხო კითხვა ერთის განყოფილებითაც გაიმართოს, და რომ სარწმუნოებრივის შინაარსის წერილების წაკითხვა ერის კაცთაც მიენდოსო.

*** 30 იანვარს ზუგდიდის ეკკლესიაში შესრულებული იქმნა წირვა განსვენებულის წერეთლის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ მღვდელმა მამა ანდრია ვახანიამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, აუხსნა ხალხს განსვენებულის ვინაობა. მერე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. წირვასა და პანაშვიდს დიდი საზოგადოება დაესწრო.

*** ფინანსთა მინისტრის მოხსენებით უმაღლესად გარდაწყვეტილია: 1) რუსეთის ყველა რკინის გზას ამა 1900 წლის 1 სექტემბრამდე ნება დაერთოს უბაჟოდ უცხო ქვეყნიდგან შემოიტანოს ქვა-ნახშირი საკუთარ საჭიროებისათვის და 2) სათანადო უწყებათ თვალ-ყური ადევნონ, რომ უბაჟოდ შემოტანილი ქვა-ნახშირი მარტო რკინის გზების საჭიროებისათვის იქმნას ხმარებული.

*** წასულს 1899 წელს ერევნის გუბერნიაში 17,700 დესიატინა მიწაზედ მოსულა სულ 211,400 ფუთი ბამბა.

*** როგორც „კავკ.“-ს შეუტყვია, ქ. გორის რწმუნებულთა კრებას დაუვალებია ქალაქის მოურავისათვის შუამდგომლობა აღძრას ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის წინაშე იმის შესახებ, რომ უსასყიდლოდ დაეთმოს ქალაქს ქალაქის ქვემო ნაწილში მდებარე მიწა საინჟინერო უწყების ძველი შენობებით იმ ადგილზედ საავადმყოფოს შენობის ასაგებად.

*** კავკასიის რკინის გზის გამგეობას სადგურ ქუთაისის გასაფართოვებლად 124,000 მანეთი გადაუდვია. მუშაობას წელსვე შეუდგებიან.

*** განჯა. კვირას, 6 თებერვალს განჯის საქალაქო კლუბში გაიმართება ქართული საღამო. მონაწილეობას მიიღებენ განჯაში მოსამსახურე ქართველები და აგრეთვე მოწვეულნი არიან ტფილისიდგან ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა და ფალიაშვილი თავისის მომღერალთა გუნდით. წარმოადგენენ „ჯოჯოხეთის მუგუზალ“-ს. დასასრულ გაიმართება ევროპიული ცეკვა და ლეკური საზანდრით.

*** სოფ. ციხე (გურია). 30 იანვარს სოფელ ციხეში იასე გურგენიძის სახლში მეტად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. გურგენიძემ ქალი გაათხოვა. ქორწილში გიორგი ოსიყმას ძე რამიშვილს ხანჯალი ჩასცა გულში სამსონ გურგენიძემ. რამიშვილმა მაშინვე სული განუტევა. აწ განსვენებული გიორგი რამიშვილი, იმას გარდა, რომ მოხუც მშობლებს და დიდს ოჯახს ინახავდა, ის თავის ხარჯით ზრდიდა ერთს თავისს უმცროს ძმას პეტერბურგის საკომერციო სასწავლებელში და მეორეს-კი ბათუმის გიმნაზიაში. დამნაშავე პოლიციამ უკვე შეიპყრო.

*** ტფილისში ამ ჟამად იმყოფება საფრანგეთის გუსართა მე-14 რაზმის

ლეიტენანტი პრინცი ნაპოლეონ მიურატი. პრინცი ნაპოლეონი შვილია აშილ მიურატისა, რომელსაც უგანათლებულესის თავადის დადიანის ქალი ჰყავს ცოლად.

*** სოხუმი. 20 იანვარს ქალაქის საბჭოს მოახსენა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ბერენსმა, რომ ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ არ შეიწყნარა ჩვენი დადგენილება იმის შესახებ, რომ უქმე დღეებში სრულიად შეწყვეტილი უოფილიყო ვაჭრობა, ხოლო საქმე დღეებში-კი დილის ექვსი საათიდგან დაწყებული საღამოს 9 საათზე გათავებულიყო.

ჩვენის ხმოსნების საქებრად უნდა ითქვას, რომ, თუმცა უმრავლესობას ვაჭრები შეადგენენ, თითქმის ყველამ ის აზრი გამოსთქვა, რომ რადგან სოხუმი ციებიანი ადგილია, საჭიროა ჩვენს ნოქრებს, სხვა ქალაქებთან შედარებით, მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეთ დასასვენებლადაო. ამის გამო საბჭომ დაადგინა: აირჩიოს კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ხელ-ახლად ეს საგანი და თავისი მოსაზრება წარუდგინოს შემდეგ სხდომაზედ საბჭოს, რათა განსაზღვრებულ იქმნას საგუბერნიო საკრებულოს გარდაწყვეტილება.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ გამგეობამ ვაჭრობით გასცა ქალაქის განათება, უსუფთაობის გადატანა და უფვანიო და სთხოვა საბჭოს დაემტკიცებინა ეს ვაჭრობა, რაიცა შეწყნარებულ იქმნა.

მცირე კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: მიეცეს ნება ს. ზირცხის ეკკლესიას და მასთან არსებულს წერა-კითხვის სკოლას ისარგებლონ ათის წლის განმავლობაში ქალაქის ხუთი დესეტინა მიწით. შემდეგ წაკითხულ იქმნა თხოვნა ქალაქის დეპუტატად ყოფილის მარკოზ მამინოშვილისა: „ოცდა-ათის წლის განმავლობაში გულმოდგინედ ვემსახურე ქალაქს, ჩემი ახალგაზრდობა ქალაქის სამსახურში დავლიე და ეხლა, გარდა იმისა, რომ დავუძლურდი, ცხოვრების სახსარიც აღარა მაქვს, რადგან ომის დროს განადგურებულ იქმნა ჩემი ქონება, და მიწა, რომელიც მე მეკუთვნოდა ომიანობამდე, ქალაქმა მიითვისაო. ამის გამო ის სთხოვდა საბჭოს დაებრუნებინა მისთვის ხსენებული მიწა. საბჭომ, სამართლიანად სცნო-რა ბ-ნ მამინოშვილის თხოვნა, დაადგინა დაუბრუნოს მას ის მიწა და განუცხადოს მადლობა ხანგრძლივისა და პატიოსანის სამსახურისათვის.

შემდეგ წაკითხულ იქმნა შუამდგომლობა მთიელთა სკოლის ზედამხედველისა, რომელიც თხოულობდა, რომ საბჭომ გადასდოს ფული მეხუთე მასწავლებლის მოსაწვევადაო, და აგრეთვე შემწეობა მისცეს სკოლას სახარატოსა და სადურგლოს დასაარსებლადაო. მასწავლებლის მიმატების შესახებ უარი განაცხადა საბჭომ, ხოლო სახარატოსა და სადურგლოს გასახსნელად, ბ-ნ მოურავის თანახმად, გადასდო ყოველ წლიურად 180 მ. შემდეგ კრება შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

*** 30 იანვარს, კვირას, სიღამოს 9 საათზედ, პოლიციის მე-9 ნაწილის მოხელემ კოვალკოვსკიმ ელისაბედის ქუჩაზედ დაიჭირა რაჭის მაზრის სოფელ კვაცხუთის მცხოვრებელი ილია ომაძე ნაპარავის ნივთებით.

*** პოლიცია დაეძებს რაჭის მაზრის მცხოვრებელს 9 წლის ბავშვს მექუდის ილარიონ ტყეშელაშვილის შეგირდს ვარსლამ ჩიტაძეს, რომელიც 27 იანვარს ადლაც წასულა და აღარა სჩანს.

*** ნორიის ქუჩაზედ მცხოვრებელს ნიკოლოოზ ოგლობინს შიანის დუქანში, პუშკინის ქუჩაზედ, ნაყიდი ძეხვი უჭამნია და ავად გამხდარა. რადგანაც, ჰფიქრობენ, რომ ძეხვი მოწამლული უნდა იყოს, საგუბერნიო სამართველოს სამკურნალო განყოფილებაში გაუგზავნიათ შესამოწმებლად.

## წერილი კახეთიდგან

დიდს გაჭირვებაშია დღეს თელავის მაზრის გლეხობა. იმისთანა ხასიათისაა ეს გაჭირვება, რომ მისი თავიდგან აცილება გლეხობას თავისდა თავად არ შეუძლიან. წარსულს შემოდგომამდის სახასო გლეხთ (სახელმწიფო გლეხთ) მოჭრით ეძლეოდათ ტყე, რომელიც მიწის პირად უნდა გადაეჭრათ. შეშით, ჭიგოთი, ჭიგოს ანასხლეტ ფიჩხით თითონ უნდა ესარგებლათ და ტყე ნაკაფ წვრილმანისაგან გაეწმინდათ. თუ არ გასწმენდავდნენ ტყეს, ან თუ უხეიროდ გასწმენდავდნენ, მოჭრილ ტყის ღირებულების მეათედი ფულად უნდა შეეტანათ. ამისთანა წესრიგი გლეხთაგან ტყის სარგებლობისა დამყარებული იყო მათის იმპერატორობით უმაღლესობის, საქართველოს ნამესტნიკის, მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან გამოცემულს ბრძანებაზედ (1878 წ.)

დღეს გლეხთაგან თხოულობენ მოჭრილის ტყის ღირებულობის მეათედსა, ანუ 10%-ს ტყის გაწმენდის გარდა. წელს თელავში დანიშნეს რევიზორი-ლესნიჩიი. ამან გამოუცხადა გლეხებს, რომ რადგანაც ტყის შემოსავალი შემცირებულია, ამისათვის თქვენ მოჭრილის ტყის საფასურის მეათედი უნდა შემოიტანოთ, უამისოდ ტყით სარგებლობა არ შეიძლებაო. გლეხებმა ვერ შეასრულეს მოთხოვნილება, თუმცა ახალს გამოცხადებას მრავალჯერ გაუზომეს თავი და ბოლო. ვერ შეასრულეს კიდევ იმიტომ, რომ ეს ერთი მეათედი, ანუ 10% მოჭრილ ტყის საფასურისა შეადგენდა სოფელზედ ზოგან 600 მან., ზოგან მეტს და ნაკლებსა. აქამდისინ გლეხნი ჭიგოს შემოდგომაზედ ამზადებდნენ, ზამთრობით მონაჭერი კიდეც გამოჰქონდათ და კიდეც სწმენდნენ ტყესა. ტყის გაწმენდა დიდ შრომას თხოულობს ხოლმე, მაგრამ რაკი ზამთარს ანდომებდნენ, არაფრად მიაჩნდათ ეს შრომა.

ახალმა განკარგულებამ საქმე სხვა ნაირად დაატრიალა. დღეს გლეხს არც ჭიგო აქვს გამოტანილი და არც სხვა. ან როდის უნდა გამოიტანოს, ან როდის გაიდეს მანძვრად სამუშაოდ? თუ გაზაფხულზედ ჭიგოს მოუნდება მუშა კაცი და საქონელი, უხნავ-უთესი დარჩება; თუ ჭიგოს არ გამოიტანს და არ შეიმუშავებს ვენახს, მოაკლდება ერთად ერთს ღონისძიებას სახელმწიფო და სხვა აუცილებელ ყოველ წლიურ ხარჯების გასტუმრებას, რადგანაც ვენახის წვენი (ღვინო), რაც უნდა დაბალ ფასში გაიყიდოს, მაინც გლეხის შრომის ერთად-ერთი ნაყოფია, რომლის ფულად ქცევით შეუძლიან ემსახუროს ხელმწიფეს, მღვდელს და სხვათა. თელავის მაზრის გლეხს სხვა არაფერი არ მოეპოვება, ყოველ წლივ კიდეც თხოულობს დამატებას. ამიტომაც თელავის მაზრაში ყოველ წლივ სხვა მაზრებიდგან და ტფილისიდგან შემოდის ასი ათასამდე ფუთი სხვა და სხვა ხორბლეული და თივა-ც-კი საქონლის საკვებად. ამასთან შემოტანილ ხორბლეულის და თივის რაოდენობა ყოველ წლობით შესამჩნევად მატულობს. აქედგან ცხადია, რომ თუ თელავის მაზრის გლეხობამ არ შეიმუშავა თავისი პატარ-პატარა ვენახები, იგი ვერაფრით ვერ გადიხდის სახელმწიფო გარდასახადსა და უნდა იქმნას აღიარებული გაკოტრებულად და ისიც სამუდამოდ გაკოტრებულად.

ეს მდგომარეობა თვით გლეხებს კარგად ესმით და ვინც-კი დაუკვირდება საქმეს, ყველა დარწმუნდება ნათქვამის სიმართლეს, მაგრამ მოჩვენ რადგან საქმე ბევრს სხვა ნაირად ეჩვენება და ეს არის მიზეზი, რომ ნაკლებად შედიან გლეხის გარემოებათა გარჩევაში, ან სრულიად არა სჯერათ. გლეხთ თავიანთ მომავლის უფსკრულში რომ ჩაიხედეს, შეშინდნენ, რომ გაბედეს უმაღლესს მთავრობისათვის მიმართვა. ს. კისისხევის საზოგადოებამ მიმართა უმაღლესს მთავრობას თხოვნით, რომ ჩვენ თანახმანი ვართ, ნამესტნიკის ბრძანებისამებრ, გავსწმინდოთ და გავასუფთაოთ ტყე, ხოლო ადგილობრივი ტყის უფროსი ამას არ სჯერდება, ტყის ფასის მეათედსაც გვთხოვს, რის შეტანაც არ შეგვიძლიან, განგვათავისუფლეთ ამ ახალის გარდასახადისაგან, თორემ ვენახები შეუმუშავებელი დაგვრჩება სამუდამოდაო. ამასთანავე თხოვნით მიუმართავთ სხვა სოფლების საზოგადოებათაც. ს. კისისხევის საზოგადოებას მოსვლია სახელმწიფო მამულების მართველისაგან პასუხად, რომ ტყის უფროსი მართალია, რომ გთხოვთ ტყის ფასის მეათედსაო. სხვა საზოგადოებანი რა პასუხს მიიღებენ, ჯერ არავინ იცის.

ეს საქმე იქამდის საყურადღებოა და ისეთს სამწუხარო მომავალს უქადის გლეხობას, რომ ამის შესახებ აღძრული იყო ლაპარაკი „კახეთის მევენახეთა კრებაზედ", რაზედაც განსაკუთრებითი გადაწყვეტილება ვერ დაადგინა კრებამ, რადგანაც საკითხი განსახილველ საკითხთა სიაში არ იყო შეტანილი, ხოლო კრების თავმჯდომარე — ბ-ნი გეევსკი დაჰპირდა კრებას, რომ წავალ თუ არა ტფილისში, ბ-ს სახელმწიფო მამულების მმართველს მოველაპარაკები და იმედი მაქვს, გაიგებს თუ არა საქმის ნამდვილ მდგომარეობას, თხოვნას შეიწყნარებსო. რასაკვირველია, გლეხთა ყოფა-ცხოვრებას რომ შეეძლოს სხვებთან ერთად ამ ხარჯის გაწევა, ჩვენ აქ ლაპარაკს არ ჩამოვაგდებდით, თუმცა ნამესტნიკის ბრძანების ძალით, რომელიც, როგორც გაუქმებული არ არის, გლეხებს უფლება აქვს სთხოვონ მთავრობას ამ ხარჯისაგან განთავისუფლება. საქმე ის არის და სამწუხაროც ისაა, რომ თელავის მაზრის გლეხთ, რომელთაც არა აქვთ საბალახო, რომ საქონელი გაამრავლონ, არ აქვთ იმდენი სახნავი, რომ ხვნა თესვა გაადიდონ, დარჩენიათ ერთად-ერთი ღონისძიებად — ვენახი, რომლითაც პასუხი უნდა გასცეს ყველასა და თუ მისი გაკეთება-შემუშავება დაუშვარდა, სწორედ რომ მისი მდგომარეობა ჯოჯოხეთური შეიქმნება. რომ ყველა ეს მართალია, ცხადია მარტო იქიდამაც, რომ თელავის სალესნიჩოში ოცამდე თელავის მაზრის სოფელი სარგებლობს ტყეთა და დღესაც არც ერთს სოფელს არ აქვს ადებული ტყე ჭიგოსათვის, ურომლისოდაც ვენახი ამოვარდება. უჭიგოობა ისეევა ვენახისათვის, რაც ფილოქსერა, რომლისათვისაც ათი-ათასობით იხარჯება. დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, თუ სურვილი არ არის ერთის ხელით უპატრონოდ განადგურდეს ის, რასაც მეორე ხელი აშენებს.

ნადიკვრელი

## ორიოდე სიტყვა ათონის „ივერიის მონასტრის" შესახებ.

ამ ბოლო დროს, სხვათა შორის, აღიძრა ლაპარაკი საზღვარ-გარეთის ქართველთა მონასტრების შესახებ და როგორც სხვა საერო საქმე, ეს ლაპარაკიც მიყრუებულ მიჩქმალულია.

სხვათა საქმეთა შორის საჭიროა, გამოქვეყნდეს ყველაფერი, ვინც-კი ამ მონასტრე ბისა რამ იცის, რომ მასალა მომზადდეს შემდეგისათვის.

დღეს თელავში სცხოვრობს ბ-ნი გერასიმე ნადარეიშვილი, რომელიც არის ერთი იმათგანი, ვისაც ორ-გზობის მოულოცნია ოდესმე ქართველთა კუთვნილი მონასტრები და რადგანაც კარგი ხანი დარჩენილა იქ, ამასთან ბერძნული ენაც სცოდნია, მრავალი ცნობა შეუკრებია.

ბ-ნ გერასიმე ნადარეიშვილის ნათქვამს თითქმის შეუცვლელად მოვიხსენიებ აქა იმედი მაქვს მკითხველი მადლობელი იქმნება, თუ წაიკითხავს. გაზეთ „ივერიის წარსულ წლის მე-217, 220 და 238 №№-ში მოთავსებულია წერილები ათონის ქართველთა აწინდელ სავანის ძმათა შესახებ, იმ სავანისა, რომელიც ცნობილია იოანნე ღვთისმეტყველის სავანის სახელით, და აწერილია მათი შევიწროებული მდგომარეობა ივერიის მონასტრის ძმათაგან.

ათონის მთა ბევრსა პალესტინაში ჰგონია და ამიტომ ათონის მთა და იერუსალიმი ბევრს ერთსა და იმავე ადგილას აქვს წარმოდგენილი. ეს ასე არ არის. ათონის მთა ერთს პატარა ნახევარ-კუნძულზედაა, რომელიც შევარდნილა მაკედონიის ხმელეთიდგან არხიპელაგის ზღვაში. ამ ნახევარ კუნძულს სიგრძე აქვს სულ 80 ვერსი და სიგანე ბოლოში 30 ვერსი. ნახევარ-კუნძული მაკედონიას უერთდება ვიწრო ყელით, რომლის სიგანე ადგილ-ადგილ ნახევარი ვერსია. ნახევარ-კუნძული მთა გორიანი ადგილია, რომლის ზედა პირი მომეტებულად ტინისაგან შესდგება. აი ეს უნაყოფო ადგილი მეცხრე საუკუნეში საბერძნეთის იმპერატორის განკარგულებით ბერ-მონაზონთა სამყოფელად გარდაქცეულა. ადგილობრივნი მცხოვრებელნი სრულიად აყრიათ, გარდაუსახლებიათ და შემდეგისათვისაც აღუკრძალავთ აქ დასახლება. აგრეთვე აღუკრძალავთ აქ დედათა მონასტრების დაარსება. მარტო მამაკაცთათვის დაუნიშნავთ ეს ადგილი. იმავე განკარგულებით აკრძალულია მთელ ნახევარ-კუნძულზედ მდედრობითის ნათესაობის პირუტყვის ყოლაც. მეცხრე საუკუნიდგან მეათე საუკუნემდე ამ ნახევარ კუნძულზედ უმოღვაწნიათ ბერებს, რომელთაც უცხოვრიათ წნულს ქოხებსა, ფარდულებსა და ზოგს ცალიერ ტინებში. მეათე საუკუნეში ათანასე ათონელს აუღია ნება იმპერატორ ნიკიფორესაგან მონასტრების გაშენებისა: აი, რას ამბობს თვით ათანასე თავისს ანდერძში: „ვიხილენ მეუდაბნოენი განდევნილნი, ათონის მთაზედ, წნულსა და ბალახით დახურულს სენაკებში და მქონენი მცირეოდენი ბოსტნისა, და ვიწროებასა შინა მცხოვრებნი, და არა ჰქონდათ ქვითკირის შენობანი და ქვა ქვაზედა დადებულნი". *) ათანასე ათონელს დიდი აურ-ზაური აუტეხეს ათონზედ მოღვაწე ბერებმა, რომელნიც წინააღმდეგნი იყვნენ ქვითკირის შენობების შემოღებისა, უჩივლეს კიდეც იმპერატორთან, მაგრამ ათანასემ თავისი გაიყვანა და ააშენა იქ მონასტერი. დროთა ბრუნვამ ამ ნახევარ კუნძულზედ მოღვაწე ბერებს აზრი შეუცვალა და დაიწყეს მონასტრების შენება. რადგანაც აქ ჰმოღვაწეობდნენ სხვა და სხვა ეროვნების ბერები, ამიტომ ყველა ეროვნების ბერებმა თავისის ეროვნების სახელით დააფუძნეს მონასტრები. სულ გაშენდა ოცი მონასტერი და ამ ოცს მონასტერთა შორის იქმნა განაწილებული მთელი ნახევარი კუნძული. ამ ოც მონასტერში ერთი უკეთესთაგანი გაშენებულ იქმნა ქართველ ბერებისაგან და სახელად ეწოდა „ივერიის მონასტერი".

რადგანაც ნახევარ-კუნძული, ათონის მთად წოდებული ახლო იყო კონსტანტინეპოლზედ, აქაურ მონასტრებს ყველა იმ ეროვნებისათვის, რომელსაც კი ჰქონდა მონასტერი სკოლების მნიშვნელობა მიეცათ.

ყველა ერის, ბერძნების გარდა, ყმაწვილი კაცობა იგზავნებოდა ათონის მონასტრებში, სადაც ბერძნულსა, ლათინურსა, არაბულსა და ებრაულს ენებს სწავლობდნენ და მერე იქიდგან ისევ ბერების ხელმძღვანელობით მიდიოდნენ კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის და სხვა სასწავლებლებში, საიდანაც მეცნიერებით აღჭურვილნი უბრუნდებოდნენ სამშობლოს და აქ განათლებას ავრცელებდნენ. ასეთი მნიშვნელობა მონასტრებისა ყველა ერმა ღირსეულად დააფასა და მონასტრებს დიდი ძალი მამულები შესწირა.

1882 წელს მე ვიყავ ათონის მთაზედ და სხვა მონასტრებთან ერთად ივერიის მონასტერიც ვილოცე. დავათვალიერე ისტორიული მხატვრობა და წარწერანი. გუმბათის პირდაპირ იატაკზედ ივერიის ტაძარში თითრის ასოებით არის წარწერა, რომელიც სავსებით აღარ ეტყობა და რომლიდგანაც შეიძლება კიდევ ამოიკითხოს ადამიანმა სიტყვები „ალმაშენებელი გიორგი ქართველი". ტაძრის სამხრეთის მხარეს არის დახატული სამღვდელო შესამოსში თავზედ შარავანდედიანი და ზედ ბერძნულად აწერია: „წმინდა მღვდელ-მონაზონი მარკოზი ქართველი" რომელსაც, ბერძენ პროფესორის გედეონის სიტყვით, მეთექვსმეტე საუკუნის გასულს უცხოვრია და გამოჩენილი მხატვარი ყოფილა, მისი მხატვრობა მრავალს ეკკლესიაში ახლაც საუკეთესო მხატვრობად ითვლება. თვით ივერიის მონასტრის სხვა ეკკლესიებიც ამ მარკოზ ქართველს დაუხატავს.

ამავე ტაძრის კარის ბჭეზედ იყვნენ დახატულნი ათამდის მეფენი, რომელთაგან შუა ადგილას დახატულს თავზედ შარავანდედი ჰქონდა და ერთიც სამხედრო ტანისამოსით იყო დახატული. როდესაც ვათვალიერებდი, ერთმა მოხუცებულმა ბერძენმა ბერმა მითხრა: „ესენი შვილო საქართველოს მეფენი არიან, ამ მო-

*) იხ. ანდერძი ათანასე ათონელისა, რომელიც მოთავსებულია წიგნში: „პროსკინიტარიონ ტონ ი ვირონ".

ნასტრის აღმაშენებელნი და განმაახლებელნი და აი, ეს მხედრულად ჩაცმული,—თორნიკე ქართველიაო". მეფეებს ზემოდგან საერთო ჰქონდათ წარწერა: „მეფენი საქართველოსანი".

მერე იყო წარწერა თითოეულისა ცალკე, მაგრამ ერთის მეტი ყველა ისე იყო წაბლალული, რომ არ ამოიკითხებოდა, ერთს-კი ეწერა: „დედოფალი ნესტან დარეჯანი."

ამავე ივერიის მოსასტრის ეზოში არის მეორე ტაძარი, ღვთის-მშობლის სახელობაზედ აშენებული. ამ ტაძარში ღვთის მშობლის ხატზედ, რომელსაც ქართული წარწერა აქვს, ფარჩის ფარდა არის ჩამოკიდებული.

მონასტრის მახლობლად არის მაღლობი ადგილი, რომელსაც „ილია წინასწარმეტყველის სადასაყუდებელი" ეწოდება. აქ ვნახე ღრმად მოხუცებული ქართველი ბერები, რომლებიც ივერიის მონასტრის ძმებად ირიცხებიან და იქიდგან საზრდოობენ. ამ მამებს ხელში ივერიის ღვთისმშობლის ტაძარი ჰქონიათ და მეტის მოღვაწეობისათვის გამოსულან მონასტრიდგან. ამათ შემდეგ ქართველთა მიღება ივერიის მონასტერში შეუწყვეტიათ, თუმცა საუკუნოებით განწესებული ჩვეულება არის, რომ მართლ-მადიდებელთა მონასტრებში ყოველი მართლ-მადიდებელი უნდა მიიღონ ეროვნების განურჩევლად; თვით იმ ჩვეულების წმიდად დაცვის გამო გამრავლებულან ივერიის მონასტერში ბერძნები და ბოლოს დაჰპატრონებიან კიდეც. ამ ჩვეულებას არღვევენ მარტო ქართველთა შესახებ, სხვა ეროვნების მართლ-მადიდებელთ დღესაც იღებენ. ამიტომ ამ მონასტერში არიან: ბულგარნი, სერბნი, მოლდავლახნი, ჩერნოგორნი (შავ-მთიელნი), არნაუტნი, არაბნი, და სხვანი.

ამისთანა წეს-რიგის დაცვა სრულიად არ უკარგავდა უფლებას მონასტერზედ იმ ეროვნებას, რომლის წარმომადგენელთაგანაც იყო აშენებული მონასტერი, ისევ იგივე წარმომადგენელნი უფლობდნენ და განაგებდნენ მონასტერს. ეს რომ ასეა, ამის დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ ყველა ეროვნებას, ქართველების გარდა, შერჩენიათ თავისი მონასტრები, თუმცა სხვა ეროვნების ბერები ზოგჯერ სიმრავლით სჭარბობდნენ წარმომადგენელთ. მარტო ქართველებმა დაჰკარგეს ეს უფლება და ამის მთავარი მიზეზი, რასაკვირველია, სხვა ეროვნების ბერების გამრავლება-კი არაა, არამედ თვით ჩვენი სიჩუმე და ხმის ამოუღებლობა.

1887 წელს მეორედ ვიმოგზაურე ათონის მთაზედ, მოვილოცე მონასტრები და სხვათა შორის 1, მივედი ივერიის მონასტერშიაც. კარის ბჭეზედ შევიხედე და დავინახე, რომ ჩემგან ნანახი მხატვრობა მეფეებისა განეახლებინათ და წინანდელის საერთო წარწერის—„საქართველოს მეფენი, აღმაშენებელნი და განმაახლებელნი ივერიის მონასტრისა"—მაგიერ ეწერა: „ბიზანტიელნი მეფენი, აღმაშენებელნი ივერიის მონასტრისანი"; დედოფალის ნესტან-დარეჯანის მაგიერ ეწერა: „ირინე დედოფალი"...

ნ—ლი

# უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბურების რაზმებში ქალები და ბავშვებიც იღებენ თურმე მონაწილეობას ინგლისელების წინააღმდეგ. ინგლისის ერთს ჯარის კაცს, კოლენზოზედ იერიშით მისვლის დროს, ბურების სიმაგრეში გაუგონია ქალების ხმები და ბავშვის ტირილი. იმას ძლიერ გაჰკვირვებია ეს, უფრო დაუგდია ყური და დარწმუნებულა, რომ არ მოტყუებულვარო. სხვა ჯარის კაცებიც ამტკიცებენ, რომ ეს ამბავი მართალი არისო. მეორედ კიდევ შეუნიშნავთ, რომ ბრძოლის დროს ქალები ახალ პატრონებს აწოდებდნენ თავიანთ ქმრებს. ისინი უშიშრად მიდიოდნენ ერთი სიმაგრიდგან მეორეზედ, სადაც წვიმასავით ჰყრიდნენ მტრის ტყვიები. ქალებს უკან დასდევდნენ ბავშვებიც, რომელთაც ხელში პარკები ეჭირათ. როცა ქალები გასულან სიმაგრეებიდგან ცარიელი პარკებით ხელში, შორს მდგომ ინგლისის ჯარს ჰგონებია, რომ ბურები გაიქცნენო, და თოფ-ზარბაზნების სროლა მოუხშირებიათ. ერთი მოტლანდიელი მეომარი ამბობს, რომ, ბრძოლის შემდეგ, ღრმად ამოთხრილ სამარეში ასაფლავებდნენ ბურები თავიანთ მკვდრებს და დახოცილთა შორის ქალებისა და ბავშვების გვამებიც იყო, რომელნიც, უთუოდ, პატრონების გადატანის დროს გაჰკმირა ტყვიამო.

პარიჟის გაზეთი—„ტაიმს"-ი ამბობს, რომ როცა ბრძოლაში მონაწილეობას დებულობენ ქალები და ბავშვები, ასეთი ომი უკანასკნელ მხედრის ამოწყვეტამდის გათავდებაო.

# დამაკვირდი

წყვიანი კაცი ყოველისფერს ამჩნევს, მხოლოდ ყოველისფერზედ არას ჰლაპარაკობს.

ს. ყ—ნი

* * *

პწკარი ლარად გადის და კალამიც მკვრივად მირბის, როდესაც იწერების საკუთარის ჭკუის ნასიბრძნი და საკუთარის გონების ნაბჭობ ნაზომი.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

შვეიცარიულ გაზეთებში დაბეჭდილია ბერნის ერთის სკოლის პატარა მოსწავლეების წერილი. ბერნიდგან ტრანსვაალში წასულა, სხვათა შორის, მკურნალი კენიგი. მოსწავლეებს ერთმანეთში ფული მოუკრებიათ და კენინგისთვის გაუგზავნიათ. აი როგორა თავდება ეს წერილი: „ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ტრანსვაალამდე მშვიდობით იმოგზაუროთ. ვთხოვთ აგრეთვე, რომ მალე დაბრუნებულიყოთ, რადგანაც ერთა ამ უსამართლო ომს ბოლო მოეღოს. თუ საწყალი და დაჭრილი ინგლისელი ჰნახოთ სადმე, ცოტა რამ უზიარეთ ამ ფულიდგან, ხოლო თუ ბური შეგხვდეთ, ჩვენი გულითადი მოკითხვა გადაეცით".

* * *

აი მეორე წერილიც, პატარა ბურის მიერ თავისს მასწავლებელთან მიწერილი. წერილი მედდელბურგიდგან (ტრანსვაალშია) კაპშტადტში გაგზავნილი, სადაც ამ ჟამად სცხოვრობს წინანდელი მასწავლებელი ბურისა:

„ვონდერფონტეინი, 27 ნოემბერი, 99 წ. დიდად პატივცემულო მასწავლებელო,—სწერს პარა ბური,—მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი. გმადლობთ მოგონებისათვის. ჩვენ ყველანი, ღვთის მოწყალებით, კარგადა ვართ, და თქვენც გულით გისურვებთ კარგად ყოფნას. აქეთ ისეთი არაფერი მომხდარა რა, რომ მოსაწერად ჰღირდეს; მხოლოდ ამას წინად დიდი წვიმები იყო, მაგრამ ეხლა კარგი დარები დადგა. ქალებმა ხვნას თავი მიანებეს. კაფრები არავითარ წინააღმდეგობას არ გვიცხადებენ, თუმცა მამა შინ არ არის. მამაკაცები უკვე გავიდნენ ბრძოლის ველზედ. ხვალ ისინი გავლენ, ვინც დარჩნენ, მათ შორის ჩემი ძმა მარტინიც. ყველანი კარგ გუნებაზედ არიან და მხიარულნი მიდიან საომრად, რადგანაც ჰხედვენ, რომ ღმერთი ჩვენს მხარესაა. არ ვიცი ომის შესახებ რა მოგწეროთ. გავიგე, რომ ამ დღეებში ჩვენებმა ბევრი ინგლისელი ჩაიგდეს ტყვეთ. პრეტორიაში ამ ჟამად 3000 ტყვე ინგლისელია. მამასა და ჩვენ ნაცნობებს ჯერ-ჯერობით არაფერი უბედურება არ შემთხვევიათ: ღვთის მოწყალებით მტრის ტყვია ვერაფერს აკლებს მათ. ხშირად ჩვენებს 2 ზარბაზანი აქვთ, ინგლისელებს-კი 25, ან ჩვენები 4000 კაცია, ინგლისელები-კი 10,000, მაგრამ ჩვენები მაინც იმარჯვებენ; თვით ღმერთი წინამძღოლობს ჩვენს ჯარს.

„სკოლაში თავისს დროზედ ველარ დავდივართ, რადგანაც სახლში ბევრი საქმეები გვაქვს: მამა და უფროსი ძმები წავიდნენ, ამიტომ ყველაფერი დედამ, დებმა და მე უნდა გავაკეთოთ. არ ვიცი, ეს წერილი მოაღწევს თუ არა თქვენამდე, ძალიან-კი მეწყინება, თუ არ მოაღწია. იმედი მაქვს გნახავთ მაშინ, როდესაც მამა და ძმები დაბრუნდებიან. დები, პატარა ძმები და დედა გულითადს მოკითხვას გიგზავნიან".

* * *

როგორც „Хар. В."-ი გადმოგვცემს, შემდეგი უბედურება მომხდარა ამას წინად ქ. ხარკოვში. ვინმე გ.—სთან ერთ ოთახში ქალთა გიმნაზიის ორი მოსწავლე სცხოვრობდა. ორივენი მერვე კლასში ყოფილან. წინა დღეს მოსამსახურეს ამ ქალების ოთახში ფეჩი ადრე დაუხურავს, რის გამო „უგარი" გაჩენილა. ქალებს სძინებიათ და ამიტომ ვერაფერი გაუგიათ. მეორე დღეს სახლის პატრონებს ყურადღება არ მიუქცევიათ, რომ ქალები ჩვეულებრივ დროზედ არ ამდგარან, მხოლოდ 12 საათზედ დაუწყვიათ კარების ბრახუნი, როდესაც შიგნიდგან ხმა არავის გაუცია. პოლიციისთვის დაუძახნიათ და კარები გაუღიათ, ორივე ახალგაზდა ქალი მკვდარი უნახავთ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 იანვარი

**ყაზანი.** ადგილობრივ გაზეთების გამომცემელთ გადასწყვიტეს აღარ გამოსცენ ხოლმე ორშაბათის ნომერი, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის არის, რომ ასოთ-ამწყობები კვირაობით მუშაობისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

**მოდდერ რივერი.** ბანაკში დაბრუნებულმა გაილენდერებმა სთქვეს, რომ 12 მოკლულის კაცის გვამი ვნახეთო; ეს გვამები ბურებმა დასტოვეს გაქცევის დროსაო. ბურების ზარალი, უთუოდ, ინგლისელების ზარალს აღემატება. რობერტსი დღეს გაილენდერების ბანაკში იყო. მთავარ სარდალმა მაკდონალდისა და ჯარის კაცებს მადლობა გადაუხადა იმ ვაჟკაცობისათვის, რომელიც მათ კოოდისბერგთან გამოიჩინეს. დღეს დილით ინგლისელები საზღვაო ზარბაზნებიდგან ყუმბარებს ესროდნენ მტრის პოზიციებს. ბურებმა პასუხი გიპ-ბოლიდგან გასცეს, მაგრამ ისე უგულოდ, რომ ჰფიქრობენ, ბურებმა ამ ადგილიდგან დაიწიესო. ბურებს შანცები ჯერ კიდევ უჭირავთ, მაგრამ ეხლა ძალიან ცოტანი არიან. ჰფიქრობენ, რომ ბურები კიმბერლეიში ან სხვა პოზიციებზედ წავიდნენო.

**კიმბერლეი.** ბურები განუწყვეტლივ ესვრიან ყუმბარებს კიმბერლეის. ქალები და ბავშვები ყოველსავე უბედურებას ხმა ამოუღებლივ იტანენ. წარსულ საღამოს სპიტფონტენის მხრიდგან სროლის ხმა ისმოდა.

**ლედისმიტი.** 25 იანვარი. აქ მშვიდობიანობაა. დღეს დილით აქედგან ბურები არსად სჩანდნენ.

**რენსბურგი.** 25 იანვარი. დღეს აქ ინგლისელებთან იოგანესბურგის რაზმის ორი ბურგერი მოვიდა, გუშინ მტერმა გობკირი დაიჭირა და გარეკა იქიდგან მრავალი მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი. მდ. ზენკის ნაპირებზედ მცხოვრებნი ძალიან არიან შეშინებულნი.

**პრეტორია.** 28 იანვარს კოლენსბურგიდგან იუწყებიან, რომ ბურებმა ოთხშაბათ ზარბაზნების სროლა დაუწყეს კოლესკოპს. ინგლისელებმა სროლითვე გასცეს პასუხი, დილარეიმ უკუ აქცია ინგლისის რაზმის მემარჯვენე ჯარი. თითქმის ყოველ დღე ცხარე ბრძოლაა. გუშინ სამი ბური დასჭრეს, სამი ტყვედ წაიყვანეს და ერთიც მოჰკლეს. გუშინ ინგლისელნი ზარბაზნებითა და ცხენოსნებით გავიდნენ, მაგრამ უკანვე დაბრუნდნენ, რაკი ბურებზედ თავს დასხმა შეუძლებელადა სცნეს.

**რენსბურგი.** ინგლისელების მცირე რაზმმა ზარბაზნების შემწეობით გარეკა ბურები სლინგფონტენის პოზიციიდგან და იმ ურმებს, რომლითაც სურსათი მიჰქონდათ ინგლისელებს, შეძლება მისცა გზაზედ გადაევლოთ. ინგლისელების მხრივ არავინ დაჭრილა.

**ლონდონი.** ოფიციალურად აცხადებენ: გენერალი კლემენცი რენსბურგიდგან იუწყება 28 იანვარს, რომ ბურებმა მოიწადინეს მოეარათ ინგლისელებისთვის მარჯვნიდგან, მაგრამ განდევნილ იქმნენო. როგორც კიმბერლეიდგან იუწყებიან, ბურების ჯარს შესამჩნევად მოემატნენ მეომარნი. 26 იანვარს ბურები შეუდგნენ შანცების გამართვას ქალაქის აღმოსავლეთით, 4000 იარდის სიშორეზედ. ბურები მეფკინგიდგან კიმბერლეიში მიდიან და თან ექვს დიუმიანი ძლიერ-მსროლელი ზარბაზნები მიაქვთო.

**პრეტორია.** ლედი-სმიტთან მყოფ ბურების ჯარის მთავარ ბანაკიდგან დეპეშით იუწყებიან: „ზემო ტუგელიდგან გვატყობინებენ, რომ გუშინდელ ბრძოლაში, რომლის შემდეგაც ინგლისელები დიდის ზარალით ტუგელს უკანვე გადავიდნენ, ბურებს მოუკლეს 4 კაცი და დაუჭრეს—8. როდესაც ბურებმა ხელ-ახლა დაიჭირეს ის გორაკი, რომელიც წინად ინგლისელებმა აიღეს, ჰნახეს იქ 22 მოკლული ბური".

იუწყებიან, რომ ლედი-სმიტის მცხოვრენთ მოიწადინეს ქალაქიდგან გასულიყვნენ იმ მხრით, საითაც ორანჟეს ბურების ბანაკია, თოფის სროლის ხმა ისმოდა. დაწვრილებით ამბავი არ ვიცით.

**ლონდონი.** ირლანდიის დასის წინამძღოლმა ჯონ რედმონდმა მიჰმართა ირლანდიის ხალხს მოწოდებით, რომელშიაც სთხოვს ფული იქმნას შეკრებილი. ამასთან რედმონდი ამტკიცებს, რომ აწინდელი კრიზისი ბრიტანიის იმპერიაში მარჯვე შემთხვევაა ირლანდიელ დეპუტატთათვის აიძულონ პოლიტიკური დასები და ირლანდიას თვით-მმართველობა მიანიჭებინონო.

**ლონდონი.** დურბანში გაზეთების მიერ გავრცელებულმა ამბავმა, რომ ჟუბერი ვრეიტონისა და უესტონისაკენ მოდისო, ხალხი საშინლად შეაშინა.

**პიტერმარიცბურგი.** ბულლერმა საოცარის სიჩქარით დაიხია უკან; იმისი ჯარი ესტკორტისაკენ მიდის. ლედი-სმიტში თან-და-თან სურსათი აკლდებათ. ჯარი სულით დაეცა; წინააღმდეგობა თითქმის აღარც-კი შეუძლიანთ გაუწიონ მტერს.

**მოდდერ-რივერი.** გენერალმა მეტუენმა უბრძანა მაკდონალდს თავისის ჯარით კოოდუსბერგს განშორდეს.

**ლონდონი.** რობერტსი მოდდერ-რივერიდგან იუწყება, რომ ბულლერისაგან 28 იანვარს შემდეგი ამბავი მივიღეო: „ვაალ-კრანცის აღების შემდეგ დავინახეთ, რომ შემდეგის მოქმედებისათვის საჭირო იყო ამ ადგილის გამაგრება; მაგრამ ორის დღის მეცადინეობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ამის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი იყო ნიადაგის განსაკუთრებულის თვისებისა გამო; გარდინგსა და მონგერს დრიფტზედ ლედისმიტში წამსვლელ ჯარისთვის უეჭველ საჭიროებას შეადგენდა ვაალკრანცის გამაგრება და ხელში დაჭერა, მაგრამ რადგან ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ამ გზით აღარ წავედით".

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბომბეის, რედჟპუტანსა და საშუალო ინდოეთის პროვინციებში შიმშილობა დღით-დღე იზრდებაო. მოსავალი საშუალო ინდოეთსა, მადრასსა და დეკანში მეტად უმნიშვნელოა. ამ ჟამად შემწეობა 3,784,000 კაცს ეძლევა.

როგორც გაზეთები იუწყებიან, იაპონიამ დაუთმო ინგლისის მთავრობას რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც იაპონიამ „ამსტრონგის" საზოგადოებას შეუკვეთა. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფონიც ასევე მოქცეულან. ინგლისის მთავრობამ ასე 100 ზარბაზანი შეიძინა.

**პარიჟი.** სენატი 7 თებერვლისთვის იქმნა მოწვეული მარსელ გაბერის საქმის განსახილველად.

1 თებერვალი

**ლონდონი.** ლორდთა პალატა. ბეტლეანი შეეკითხა მთავრობას, დანიშნულ იქმნა თუ არა კარრინგტონი სამხრეთ აფრიკაში; და მეტუენი ისევ უფროსობს იმ ჯარს, რომელიც მოდდერ-რივერთანა სდგას, თუ არაო? სამხედრო მინისტრმა მიუგო, რომ კარრინგტონი დაინიშნაო; რაც შეეხება მეორე კითხვას,—სთქვა მინისტრმა,—უნდა ვსთქვა, რომ მოდდერ-რივერთან მდგომ ჯარს მარშალი რობერტსი უფროსობსო. მინისტრმა განაგრძო, რომ ის საგნები, რომელთა შესახებ ეხლა, ეჭვი არ არის, პალატას ცნობები უნდა, შემდეგია: პირველი, რამდენად უზრუნველ-ყოფილია სახელმწიფო შემოსევისაგან; მეორე, რა ზომებია მიღებული ინგლისის კუნძულების უზრუნველყოფისათვის, საიდგანაც ჯარი სამხრეთ-აფრიკაში იქმნა გაწვეული და მესამე, ომის განსაგრძობად სამინისტროს რამდენი ჯარი ჰყავს? ამის შესახებ შემდეგი განაცხადა მინისტრმა: ამ ჟამად სახელმწიფოში 98,000 ჯარის-კაცია სამუდამო ჯარისა, 12,000 კაცი ზურგის ჯარისა, შემდეგ 7,000 იომანრი, 77,000 კაცი მილიციისა და 215,000 თავი-

სუფალი მეომარი; სულ 409,000 კაცი. „ამ ჟამად, —სთქვა შემდეგ მინისტრმა, —ჩვენ მეტად უცნაურ მდგომარეობაში ვართ: ჩვენ, უდიდესი სახელმწიფო დედამიწაზედ, ვებრძვით ორს პატარა სახელმწიფოს, რომელთაც ზღვაოსანნი არა ჰყავთ და არც ერთი ნავი არ მოეპოვებათ, და აი სწორედ ამის გამო ეს ორი სახელმწიფო უვნებელია ჩვენის ძლიერის ფლოტისაგან. ჩვენ იმ ძლიერს კაცის მდგომარეობაში ვართ, რომელსაც მარჯვენა ხელი კედელზედა აქვს მიზმული. მაგრამ ეს მარჯვენა ხელი ამ კაცს არ დასმაზუნებია: იგი ეხლა უფრო ძლიერია, ვიდრე როდისმე იყო. აწინდელმა ვითარებამ საქმისამ სამინისტრო მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, სამინისტრო უნდა ეცადოს მოჰკრიბოს ახალი ჯარი, რომელიც 130,000 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს, —ამიტომ სამინისტროს აზრადა აქვს შეადგინოს 12 ბატალიონი ქვეითა ჯარისა. აწინდელმა ომმა დაამტკიცა, რამდენად საჭიროა არტილერია, ამიტომ უნდა შედგენილ იქმნას არტილერიაც ორის ახალის კორპუსისათვის. როდესაც სისრულეში იქმნება მოყვანილი, მაშინ სამხედრო სამინისტროს შეეძლება ორი კორპუსი არტილერიითურთ სახელმწიფოს გარეშე გაჰგზავნოს. შემდეგ მთავრობას აზრადა აქვს შეადგინოს ცხენოსანი რაზმი. გაზაფხულსა და ზაფხულში მილიციის სხვა ბატალიონები იქმნებიან მოწვეულნი და სხვა ზომები იქმნება მიღებული. მთავრობას იმედი აქვს, რომ ეს ცვლილებანი ჯარს 100,000 კაცზედ მეტს მოუმატებენ. სახელმწიფოს ჯერ ისეთი გაჭირვება არ დასდგომია, რომ სამხედრო ბეგარას მიჰმართოს, ბეგარას, რომელიც ეგრე არ მოსწონს ინგლისის ხალხს. მთავრობა მხოლოდ მაშინ მიჰმართავს ამ საშუალებას, როდესაც სხვა ზომები საკმაო არ აღმოჩნდება. ეხლა ჩვენი ხალხი ნება-ყოფლობით ეწერება ჯარში; და ვფიქრობთ, ეხლა დრო არ არის კენჭის ყრით გავიწვიოთ კაცები, ძალ-დატანება კი არ არის საჭირო, საჭიროა წახალისება“. (მოწონების ნიშნები). ლორდმა უოლტედჟმა სიხარული განაცხადა იმის გამო, რომ ინგლისს ჯერ კიდევ საკმაო ჯარი მოეპოვება, საჭიროების დროს შეიძლება ეს ჯარი სამხრეთ აფრიკაში იქმნას გაგზავნილიო. შემდეგ ილაპარაკეს დენროვენმა, კიმბერლეიმ, ლანდსდოუნმა. ლორდმა ველისმა განაცხადა, სამწუხაროა, რომ მთავრობა არა სარგებლობს აწინდელის მდგომარეობით და არა სცდილობს ხმელეთის ჯარის საქმე საუკეთესოდ მოაწყოს. მომავალ კვირას მოხსენებას შევიტან პალატაში იმის შესახებ, რომ პალატამ მოისმინოს მთავრობის წინადადება ჯარის გაძლიერების შესახებ. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ სასურველად მიმაჩნია, ერთგვარი წესი იქმნას შემოღებული სამხედრო სწავლებისა. დეპარტამენტს უკვე ჰქონდა ამ საქმის შესახებ მოლაპარაკება სამხედრო სამინისტროსთან. შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ თავისუფალნი მეომარნი საუკეთესო თოფ-იარაღით იქმნებიან შეიარაღებულნი. კრება დასრულდა.

საზოგადოებათა პალატა. სამხედრო მინისტრმა იგივე განაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რაც ლორდმა ლანდსდოუნმა ლორდთა პალატაში.

1 თებერვალი

**პეტერბურგი.** 31 იანვარს საიმპერატორო ერმიტაჟში წარმოდგენა იყო გამართული მათ უდიდებულესობათა თანდასწრებით. წარმოდგენის შემდეგ ერმიტაჟის პავილიონში ბალი გაიმართა. ბალზე თამაშში მონაწილეობას იღებდნენ ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრები და მთავრინანი.

**ლონდონი.** 28 იანვარს კიმბერლეიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ზარბაზნების სროლა მეტად გაგრძელდა და ბევრს ზარალსაც გვაყენებსო.

**რენსბურგი.** გაბკირსი და ბასტარდნეკი, რომელნიც შაბათს ბურებმა დაიპყრეს, ისევ ინგლისის ჯარმა დაიჭირა მის შემდეგ, როცა ბურებმა ძლიერის ზარბაზნების სროლის გამო უკან დაიწიეს, მაგრამ ბურებმა შემდეგ ისევ იმდენად შეავიწროეს დასავლეთის მხრიდგან, რომ ინგლისის ჯარი იძულებული გახდა ბასტარდნეკიდგან და გაბკირსიდგან მეღერსის ფერმისაკენ გადასულიყვნენ. დაწვრილებით არა იციან-რა. რადგან ინგლისის ჯარს აღმოსავლეთის მხრიდგან შიში მოელოდა, იძულებული შეიქმნა ელინგერსფონტენიდგან რენსბურგისაკენ დაეწია.

**ლონდონი.** კაპშტადტის სალამოს გაზეთების ცნობებიდგან სჩანს, რომ უცხო სახელმწიფოთა სამხედრო აგენტები მოდდერ-რივერიდგან წავიდნენ, რომ რობერტსის ჯარს შეერთებოდნენ.

**მოდდერ-რივერი.** მე-9 დივიზიის უფროსად, რომელიც უნდა შედგეს, დაინიშნა გენერალი კოლვილი. აქ მოვიდნენ ბარკლიევესტიდგან გამოქცეული 1000-მდე კაცი, მოგერსფონტენთან დამდგარი ბურების ჯარი ძალიან შემცირდა. ერთი ნაწილი, როგორც ჰფიქრობენ, კიმბერლეისაკენ წავიდა. ბურებისაგან რამდენიმედ დაზიანებული რკინის გზის ხიდი ისევ იქმნა შეკეთებული.

**ლონდონი.** 30 იანვარს, ბურების ბანაკში მივიდა ავსტრალიელი კორესპონდენტი. ბურებმა განუცხადეს კორესპონდენტს, რომ ჩვენ 120,000 სამშობლოსათვის მეომარი კაცი გვყავს, რომელთაც დიდხანს შეუძლიანთ განაგრძონ ომიო.

**ლონდონი.** თავისს სიტყვაში, რომელიც ზედა პალატაში წარმოსთქვა, სამხედრო მინისტრმა განმარტა, რომ გაუბიცის ბატარეები მშვიდობიანობის დროს მხოლოდ კადრებში იქმნებაო. მინისტრის პროექტით, სალდათთა დიდს ნაწილს (170,000 კაცამდე), წლოვანებით 25-დგან 45-ს წლამდე, რომელთაც სამსახური შეუსრულებიათ, წინადადება მიეცემათ, ერთი წლითაღა კიდევ იმსახურონ მეტროპოლიაში.

**კაპშტადტი.** ოფიციალურად იუწყებიან: პოლკოვნიკი კეკევიჩი იტყობინება 31 იანვარს, რომ მთელი დღის განმავლობაში კიმბერლეის ზარბაზნებს ესროდნენო. პარასკევს, დილით, ალექსანდრეფონტენთან ორი საათის განმავლობაში მცირე ბრძოლა იყო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ქვეითა ჯარიო.

2 თებერვალი

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი: „გასულ 18 მაისს თქვენ-მიერ სეიმის დახურვის დროს, წოდებათა წარმომადგენლებმა ჩემამდისინ აზმავი მოიტანეს მათ აღშფოთებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოუწვევია ფინლიანდიის დიდს სამთავროში სამხედრო სამსახურის შესრულებაში გაზრახულ ცვლილების მოხდენას და ამა წლის 3 თებერვალს გამოქვეყნებულ მანიფესტს. ჩემდა სამწუხაროდ, ლანდმარშალისა და ტალმანების სიტყვებიდგან ვხედავ, რომ საერო მოხელეთ ვერ შეუგნიათ მოსაზრებანი მთელი სახელმწიფოს სარგებლობის შესახებ, რომლითაც ამ ღონისძიებათა საჭიროება გამოწვეულია, და ნება მისცეს თავიანთ თავს უადგილოდ მსჯელობა დაეწყოთ იმის შესახებ. გავალებ თქვენ განმარტოთ საყოველთაოდ, რომ ეს მსჯელობა სიმართლეს მოკლებულია და არ ეთანხმება ამ საუკუნის დასაწყისიდგან დამყარებულს საქმეთა ვითარებას, რომლითაც ფინლიანდია შეადგენს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილს იმისაგან განუყოფელს. აგრეთვე მსურს ფინელებმა იცოდნენ, რომ ტახტზედ ასვლის დროს მივიღე-რა წმინდა მოვალეობა ვიზრუნო ყველა ხალხზედ, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოს ექვემდებარებიან, სასიკეთოდ ვსცან ფინლიანდიისათვის შემენარჩუნებია განსაკუთრებული წეს-რიგი შინაურ საქმეთა კანონმდებლობისა, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მას ჩემი მპყრობელ წინაპრებისაგან. ამავე დროს მე თავს ვალად ვიდევ, როგორც ძველთაგანვე ნაანდერძევი, მეზრუნა კანონის ძალით დიდი სამთავროს დამოკიდებულების შესახებ რუსეთის იმპერიასთან. ამ მოსაზრებით ჩემ მიერ დამტკიცებულ იქმნა ამა წლის 3 თებერვალს დებულებიანი, რომელნიც საზღვრავენ წესდებას მთელ სახელმწიფოსათვის კანონების გამოცემის შესახებ, რომელნიც ეხებიან ფინლიანდიას იმ წესით, როგორიც ნაჩვენებია ამ კანონმდებლობით ოქმში.....*) სეიმის შემდეგი შრომა მიღებულ იქმნება მხედველობაში სამხედრო კანონის საბოლოოდ შემუშავების დროს. მოველი რა თქვენის მხრივ მედგრად მოქმედებას ჩაუნერგოთ მცხოვრებლებს ნამდვილი მნიშვნელობა ღონისძიებათა, რომელნიც გამოწვეულია იმპერიასა და დიდ სამთავროს შორის კავშირის გასამაგრებლად, ვიმედოვნებ, რომ ფინლიანდიის ხალხის ერთგულ ქვეშევრდომობა, რომელშიაც ეჭვი არ შემაქვს, საქმით დამტკიცდება და გაადვილებს თქვენ ჩემის განზრახვის შესრულებას“.

**ლონდონი.** ოფიციალურ ცნობებით, 24-დგან 26 იანვრამდე ბულლერს მოუკლა მოუკლა მტერმა 26 და დაუჭრა 324 კაცი.

მეფეკინგიდგან იუწყებიან, რომ ბადენ პაუელს ამბავი მოუვიდა რობერტსისაგან, რომელიც ჰპირდება, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში შემწეობას აღმოგიჩენო. ამ ხნის განმავლობაში სურსათი საკმარისია. ბურებს აზრად აქვთ, მეციხოვნე ჯარს იარაღი დააყრევინონ ბრძოლით კი არა, არამედ შიმშილით.

**რენსბურგი.** ინგლისელების ჯარის უკან დაწევა იმ სიმაგრეებიდგან რომელიც მათ ეჭირათ, დასავლეთისაკენ საჭირო იყო, რადგან გამოირკვა, რომ ბასტარდნეკში, რომელიც დაჰყურებს გარშემო ადგილებს, დაბანაკდა ბურების მრავალ რიცხოვანი ჯარი დიდი ზარბაზნებით.

„Daily Mail“ ს ატყობინებენ რენსბურგიდგან, რომ ინგლისელების უკან დახევა უფრო დიდმა საქმემ გამოიწვია ვინემ ეგონათო. ორივე მხრივ ზარალი დიდია. ეჭვი აქვსთ, რომ ინგლისელებმა თავი შეიმაგრონ რენსბურგში.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორმა, მიაქცია-რა ყურადღება ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილის წერილებს, რომელნიც, სამართლიანად-ვერ ხსნიან ფინლიანდიის პოლიტიკურ მდგომარეობას, მიანდო აქაურს მთავარ სამმართველოს ბეჭდვითი საქმის შესახებ გააფრთხილოს ცენზორები, რომ ეს წერილები, რომელნიც არ ეთანხმებიან უმაღლეს სურვილის ნამდვილს აზრს, გამოთქმულს გენერალ-გუბერნატორისადმი რესკრიპტში გასულ 8 იანვარს, რომლითაც უმართლოდ არის ცნობილი სეიმის მსჯელობა 3 თებერვალს გამოცემულ მანიფესტის შესახებ, გაშვებულ არ უნდა იქმნასო.

**პოზნანი.** იმპერიის უფროს ბრალმდებლის მოთხოვნილებით დაჭერილ და საპყრობილეში ჩასმულ იქმნა პოლონურ გაზეთის „Gozeta Ostowska“-ს გამომცემელი, რომელსაც სახელმწიფო ღალატი ჰბრალდება.

პეტერბურგის ბირჟა, 1 თებერვალი.

| | მყიდველის. | გამყიდველის | გარიგებისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5% [illegible] მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო [illegible] - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 220½ |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 91½ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 100 „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 97½ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად - აზნაურო ბანკისა . . . | — „ | 99 | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | 94 | — „ |
| 6% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 97½ | — „ | — „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა. . . | 90 | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 297½ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | „ — | — „ | 282 |

## გამოსადეგი ცნობა

გაცვებული დაძრული, ხელი ან ფეხი უნდა ჩაჰყოთ რამდენადაც შეიძლება ცხელს წყალში, რომელშიაც ქერქიანი კარტოფილია მოხარშული, და გეჭიროთ შიგ იმდენს ხანს, ვიდრე წყალი გაცივდებოდეს. კარგია აგრეთვე ბატის უმი ქონისა და ღორის ქონის დადება.

## შემოწირულება

მივიღეთ ფოთიდგან ბ-ნთ ი. ყანჩაველისა და ი. კოხრეიძის-მიერ შეკრებილი 20 მან. 65 კ. ახალქალაქის მაზრის დაზარალებულთა მცხოვრებთა სასარგებლოდ. ეს ფული შემოუწირავთ: ვ. თოფურიძეს 5 მან., ა. ქვანიას 2 მ., გ. ხოჩოლავას 1 მ., კ. რუხაძეს 1 მ., ბ. ქექუთიას 1 მ., ბ. გოგინავას 1 მ., ი. ჭანტურიას 1 მ., ი. ყანჩაველს 50 კ., ი. კოხრეიძეს 50 კ., ნ. ჭანტურიას 50 კ., ნ. დჯიკიას 50 კ., თ. მალაკელიძეს 50 კ., მ. ხორავას 50 კ., ზ. ხორავას 50 კ., ფ. მილორავას 50 კ., თ. ჯოჯუას 50 კ., რ. ბრელიძეს 50 კ., ნ. შავდიას 50 კ., ტ. გვახალიას 50 კ., მ. მიქელაძეს 50 კ., გაბუნიას 40 კ., ვ. ფირალოვს 50 კ. ა., ხოშტარიას 50 კ., ზ. კაკაიას 50 კ. და ო. იმედაიშვილს 25 კ.

ამ ფულისა გვქონდა 522 მან. 46 კაპ. ამითი შესდგა 543 მან. 11 კაპ.

## სასამართლოს ცნობები

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

5 თებერვალი

იაკობ მაჭავარიანისა (ქუთაისიდგან გადმოტანილი), რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1485 მუხლ. აღნიშნული დანაშაული ედება ბრალად.

ვერა პოლონსკისა და ნიკოლოოზ გვარამაძისა, რომელთაც მევახშეობა ჰბრალდებათ.

ვლადიმირ მარდანოვისა, რომელსაც მევახშეობა ჰბრალდება (სენატის მიერ ხელახლად განსახილველად დაბრუნებული საქმე.)


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ გამგეობის თანადასწრებით

# მოხდება საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ქალაქის საყასბოების შეკეთების საქმე: ხის სვეტები ქვის სვეტებით უნდა შეიცვალოს, შეკეთდეს და განახლდეს ხის კედლები, მოიკირწყლოს ეზო და ხის კედლებზედ ცინკი იქმნას გაკრული. სამუშაო სულ 3385 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე 9-დგან 2 საათზედ, კვირა-უქმეების გარდა.

(3—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ამა 1900 წლის 4 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით მოხდება

# საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ანდრეევის ქუჩის ხელ-ახლა მოკირწყვლის საქმე. ეს ქუჩა უნდა მოიკირწყლოს რკინის გზის საავადმყოფოდგან ტფილისის დამოჯნამდე, სულ 985 ოთხკუთხი საჟენი ადგილი; სამუშაო 3040 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა.

(3—6—2)


*) დეპეშაში გამოტოვებულია რამდენიმე სიტყვა.

Дозволено цензурою, Тифлисъ 3 Февраля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე